საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის ნარკვევი

ნოემბერი 2023 / გამოცემა #54

ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გავრცელება საქართველოში

ციფრული თანამშრომლობისა და დაკავშირებადობის გაზრდა

გიორგი ჯანგიანი[1]

მოკლე შინაარსი

ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა პოლიტიკის ფორმულირებით გამოხატა, მათ შორისაა ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), 20 შედეგი 2020 წლისთვის, და 2020 წლის შემდეგ. თუმცა ამ ფორმატში არ მომხდარა ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის ინტეგრირება და სათანადოდ არ განხილულა ციფრულ სივრცესთან დაკავშირებული პოლიტიკის საკითხები. წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ევროკავშირის ციფრული სივრცის გაფართოება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, განსაკუთრებული აქცენტით საქართველოზე. ნაშრომი აანალიზებს ევროკავშირის ციფრული სერვისების აქტისა და ციფრული ბაზრის აქტის პოტენციურ გავლენას საქართველოზე. ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი ადვოკატირებს ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გაფართოებას საქართველოში მის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან და საჭიროებებთან უკეთესი თანხვედრის მიზნით და ამ მიმართულებით ინტეგრაციის ორ სავარუდო მოდელს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი, ევროკავშირში ინტეგრაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP), ციფრული სერვისების აქტი (DSA), ციფრული ბაზრის აქტი (DMA), საქართველოს კანდიდატის სტატუსი, დასავლეთ ბალკანეთის მოდელი, კანდიდატი ქვეყნის მოდელი

[1] გიორგი ჯანგიანი არის საჯარო პოლიტიკის ექსპერტი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება დეზინფორმაციის კვლევის, მედია ბიზნესისა და ციფრული პოლიტიკის მიმართულებით. იგი ფლობს იორკისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტების მაგისტრის ხარისხის ევროპის საჯარო პოლიტიკაში.

შესავალი

რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ ხაზი გაუსვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის გაუმჯობესებული სატრანსპორტო და ციფრული კავშირების საჭიროებას. კერძოდ, კონფლიქტმა გამოააშკარავა დეზინფორმაციისა და დაუცველი ინფორმაციის სანდოობის საფრთხეები, რაც ციფრულ სივრცეში მზარდი თანამშრომლობის აუცილებლობაზე მიუთითებს. თუმცა, ხარვეზები ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ჩართულობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022 წელს ასოცირებული ტრიოს (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) დაშლის შემდეგ, როდესაც უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ხოლო საქართველომ წევრობის პერსპექტივა მიიღო, კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობების ჩამონათვალთან ერთად. საქართველოს მოსახლეობის მტკიცე მხარდაჭერის მიუხედავად, პოლიტიკურმა კლასმა ვერ გამოიჩინა პოლიტიკური ნება ევროკავშირის მიერ გაწერილი იმ თორმეტი პირობის შესასრულებლად, რომელიც საქართველოს სტატუსის მისაღებად ესაჭიროება. ევროკომისიის ბოლო ანგარიშის მიხედვით, თორმეტიდან მხოლოდ სამი რეკომენდაცია შესრულდა. „ნაწილობრივი პროგრესით“ შეფასდა დარჩენილი 7 რეკომენდაცია, ხოლო დასკვნის მიხედვით საქართველოს „პროგრესი არ აქვს“ მედია პლურალიზმის მიმართულებით (EU Commission, 2023).

მაშინ, როდესაც საქართველო განაგრძობს დემოკრატიულ უკუსვლას (Freedom House, ‘Georgia’, 2023), იზრდება ევროკავშირის გაფართოების მომენტუმის დაკარგვის რისკიც, რომელიც უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე უპრეცედენტო ევროპული სოლიდარობის კონტექსტში გაჩნდა. ბოლო დროს დაანონსებული ისეთი სექტორული პროექტების მიუხედავად, როგორიცაა შავი ზღვის წყალქვეშა ინტერნეტის კაბელი (FT, 2023) და შავი ზღვის ენერგო კაბელი (EU Commission, 2020), ეს განცხადებები ევროკავშირის მხრიდან აზერბაიჯანთან გაფორმებულ ფორმალურ სექტორულ თანამშრომლობას უფრო ჰგავს, ვიდრე ევროკავშირში სრული ინტეგრაციის ხელშემწყობ პროექტებს.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერისა და ევროკავშირში დაჩქარებულად გაწევრიანების უპრეცედენტო შესაძლებლობის არსებობის პირობებში, ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მომენტუმის შესანარჩუნებლად. ამასთან, ციფრული დღის წესრიგის დანერგვა აუცილებელია დეზინფორმაციის მზარდი საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას რისკის ქვეშ აყენებს. ეს არის შესაძლებლობა საქართველოსთვის დაეწიოს უკრაინისა და მოლდოვას ევროპულ გზაზე. ამავდროულად, ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავება არამხოლოდ დემოკრატიულ განვითარებას შეუწყობს ხელს სამხრეთ კავკასიაში, არამედ გაანეიტრალებს რუსეთისგან და სხვა არაკეთილმოსურნე აქტორებისგან მომავალ უარყოფით გავლენებს რეგიონში. ამასთან, ეს ევროკავშირსა და ცენტრალურ აზიას შორის ალტერნატიულ ენერგო მარშრუტებზე უსაფრთხო და მდგრადი კონტროლის შესაძლებლობას შექმნის.

ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი

ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი (European Parliament, 2020) რეფორმებისა და ინოვაციების კუთხით მნიშვნელოვან მიმართულებად აღიქმება. ევროკავშირის ბოლო ხუთწლიანი გეგმა, რომელიც პირველად 2010 წელს, ხოლო ბოლოს 2020 წელს მიიღეს, სამ ძირითად საკითხს ეფუძნება: 1) მომხმარებლებისა და ბიზნესებისთვის ციფრულ პროდუქტებზე და სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება; 2) ციფრული ქსელებისა და სერვისების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; 3) ციფრული ეკონომიკის ზრდის პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდა (European Parliament, 2020). ინოვაციებისა და ზრდის ხელშეწყობით, ეს ნაბიჯები მიზნად ისახავს ევროპამ სრულად შეძლოს ციფრული ტრანსფორმაციისგან სარგებლის მიღება და ამავდროულად, სოციალური ჩართულობისა უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებების დაცვა.

ბოლო წლებში ციფრული სტრატეგიის ფარგლებში არაერთი ინიციატივა გაჟღერდა, მაგალითად **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR)**, რომელიც აწესებს მსოფლიოში მონაცემთა დაცვის ყველაზე ძლიერ წესებს პერსონალური მონაცემების გამოყენების, დამუშავების და შენახვის დასარეგულირებლად; **ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდი (EECC)**, რომელიც ევროკავშირის განახლებული ტელეკომუნიკაციების წესებს ერთი მარეგულირებელი ჩარჩოს ქვეშ აერთიანებს და რომლის მიზანიც დაკავშირებადობის გაზრდა და ევროკავშირის მასშტაბით მომხმარებლების უკეთესი დაცვაა; და **ხელოვნური ინტელექტის აქტი,** რომელიც ამჟამად საკანონმდებლო მუშაობის პროცესშია და მიზნად ისახავს ევროკავშირის მასშტაბით გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის სისტემების უსაფრთხოებას, გამჭვირვალობას, იდენტიფიცირების შესაძლებლობას, არადისკრიმინაციულობას და გარემოსთან მეგობრულობას.

საკანონმდებლო ინიციატივებთან კოორდინაციით, ევროკავშირმა ასევე წარმოადგინა **ციფრული სერვისების აქტი (DSA)** და **ციფრული ბაზრის აქტი (DMA),** რომელთა კოდიფიცირებაც უსაფრთხო ციფრული სივრცის უზრუნველსაყოფად 2022 წელს მოხდა. საკანონმდებლო აქტის მიზანი ისეთ მზარდ საფრთხეებზე რეაგირებაა, როგორიცაა დიდი ტექ პლატფორმების ზედმეტი ძალაუფლება და კონტროლი ციფრული ეკონომიკის კრიტიკულ ეკოსისტემებზე, რაც მანიპულაციური ალგორითმული სისტემების მიერ შესაძლოა ბოროტი მიზნებისთვის ან არასწორად იყოს გამოყენებული დეზინფორმაციის გასავრცელებლად. ამ გამოწვევებსა და პლატფორმების მიერ მათზე რეაგირებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფუნდამენტურ უფლებებზე ონლაინ სივრცეში. DSA-ს მიზანია ონლაინ პლატფორმებზე არალეგალური მასალა შეზღუდოს. ის ონლაინ პლატფორმებს ავალდებულებს წაშალონ ყალბი და სახიფათო პროდუქტები, მას შემდეგ რაც ამის შესახებ სანდო წყაროს მხრიდან ეცნობებათ. DSA-ს მიხედვით, პლატფორმები ვალდებული იქნებიან შეზღუდონ და წაშალონ მისინფორმაცია და დეზინფორმაცია „იცოდე შენი ბიზნეს კლიენტი“ პრინციპის საფუძველზე, რომელიც სხვა ვალდებულებებთან ერთად, ძალიან

დიდ ონლაინ პლატფორმებს (VLOPs) მავნე და არასწორ კონტენტთან ბრძოლის პასუხისმგებლობას აკისრებს.

რატომ არის ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგი მნიშვნელოვანი საქართველოსთვის

ეს პოლიტიკა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ სახელმწიფოებზე არ გავრცელებულა, რაც რეგიონს დეზინფორმაციისა და ინფორმაციის სანდოობის საფრთხის წინაშე აყენებს. ევროკავშირის EU4Digital ინიციატივის ფარგლებში, რომელიც 2019 წელს დაიწყო, გარკვეული ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ციფრულ დაკავშირებადობას. EU4Digital ინიციატივა კონკრეტული ქვეყნის ასოცირების დღის წესრიგთან ერთად მიზნად ისახავს ამ ქვეყნის ციფრული პოლიტიკისა და პრაქტიკის დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან. მათ შორის იყო ისეთი გადაწყვეტილება, როგორიცაა მაგალითად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის 2026 წლისთვის როუმინგის საფასურის გაუქმება, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ გულისხმობდა ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციას. უკრაინაში მიმდინარე ომს რეგიონში ევროკავშირის გაფართოების გადაფასება მოჰყვა. ახლა, როდესაც მოლდოვა და უკრაინა ევროკავშირის წევრობის გზაზე არიან, ხოლო საქართველოს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა მიენიჭა, EaP ფორმატში პოლიტიკის საკითხებში ჩართულობა ნაკლებად სავარაუდოა.

რადგან საქართველოს ასოცირების 2021-2027 წლების დღის წესრიგი ამ მიმართულებას არ ფარავს, ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის რეგულაციებისა და პირობების ინტეგრირება მნიშვნელოვანია: 1) ინტერნეტთან წვდომის მაღალი მაჩვენებლის გამო, 2) დეზინფორმაციის საფრთხის მიმართ ქვეყნის მზარდი მოწყვლადობის გამო; 3) საქართველოს კანდიდატის სტატუსის მოლოდინში, ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციისთვის. ამასთან, საქართველოსთან უფრო ღრმა ციფრული ინტეგრაციით ევროკავშირიც ისარგებლებს, რადგან რეგიონული დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის და სხვა არასასურველი აქტორების გავლენის შეამცირებს.

I. ინტერნეტის გამოყენების მაღალი დონე

ციფრული კავშირების სწრაფმა განვითარებამ, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ონლაინ პლატფორმებზე მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის და სერვისების რაოდენობაში და სისწრაფეში მნიშვნელოვანი ზრდა განაპირობა. ამჟამად, რეგიონს ინტერნეტის გამოყენების შთამბეჭდავი 85%-იანი მაჩვენებელი აქვს, ხოლო მოსახლეობის 70% აქტიურად მოიხმარს სოციალური ქსელის პლატფორმებს (Digital, 2023). ამასთან, მობილური კავშირის მაჩვენებელი 147%-ს აღწევს. რაც იმას ნიშნავს, რომ რიგით მოქალაქეს ყველაზე ცოტა ერთი მოწყობილობა ან სიმ ბარათი აქვს, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ციფრული ტექნოლოგიების ფართო გავრცელებას უსვამს ხაზს.

ფიგურა 1: ინტერნეტის მოხმარება, 2023



წყარო: *We Are Digital 2023 Report*

საქართველოში ინტერნეტ კავშირის მაჩვენებელი რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს ოჯახების 89% იყენებს ინტერნეტს, ხოლო 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 93% ინტერნეტს ყოველ დღე იყენებს (BM.ge 2023).

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესს მიაღწია ციფრული ტრანსფორმაციისთვის მომზადების მიმართულებით და ახლა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენების კუთხით „მე-4 თაობის“ ქვეყნებში გადის 90.50 ქულით (ICT Regulatory Tracker, 2023). ნაკლებად განვითარებული სატელეკომუნიკაციო გარემოს მიუხედავად, საქართველოს ჰყავს მზარდი IT სექტორი, რომელიც კიდევ უფრო მეტად ვითარდება ინოვაციური ეკოსისტემისა და რეგიონული სტარტაპ ჰაბის შექმნის ძალისხმევის პროცესში (*Investor.ge,* 2022). ამ სექტორის განვითარების შედეგად და ტურიზმისა და ელექტრონული ვაჭრობის ზრდასთან ერთად (ecommerceDB.com 2023), სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გარკვეული ნაწილების დანერგვა, რაც ევროკავშირთან მეტად დაახლოებით, ეკონომიკური განვითარების უფრო მეტ შესაძლებლობას აჩენს.

II.დეზინფორმაციასთან ბრძოლა

ინტერნეტისა და სოციალური ქსელების მოხმარების მაღალმა დონემ, მომხმარებლებს ღირებული კონტენტის გაზიარების შესაძლებლობა მისცა. თუმცა ეს ასევე ითარგმნა მისინფორმაციისა და პოლიტიკური დეზინფორმაციის გავრცელებაში, რაც მზარდი

პრობლემა გახდა. პრობლემის მასშტაბურობა კიდევ უფრო ცხადი კოვიდ-19 პანდემიის დროს გახდა, როდესაც არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ ჯანდაცვას და რეგიონში დემოკრატიული პროცესების მორღვევა სცადა. საბჭოთა კავშირის პერიოდის ინფორმაციული მანიპულაციის გამოცდილებით, რუსეთმა შეძლო სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენება ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში დაპირისპირებისა და პოლარიზაციის დასათესად. ამასთან, უკრაინაში რუსეთის ომმა კიდევ უფრო მეტად გაამლიერა კონფლიქტთან დაკავშირებული პროპაგანდა, და განსაკუთრებულ სამიზნედ რეგიონის ქვეყნები აქცია.

საქართველო განსაკუთრებით მოექცა რუსული დეზინფორმაციის გავლენის ქვეშ. სუსტ მედია გარემოში და [რუსეთთან] კონფლიქტის გამოცდილების კონტექსტში ინფორმაციის მანიპულაციის გარდა, ბოლო წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის გამოყენება ონლაინ სივრცეში. სხვადასხვა პირებმა და არაკეთილმოსურნე აქტორებმა ბოროტად გამოიყენეს ონლაინ პლატფორმები პოლარიზაციის გასაღრმავებლად და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. 2023 წლის META-ს პირველი კვარტლის ანგარიშის მიხედვით, გაუქმდა ფეისბუქ ანგარიშების, გვერდების, ჯგუფების და ინსტაგრამის ანგარიშების დიდი რაოდენობა არა ავთენტური კოორდინირებული მოქმედებების გამო (META 2023). ანგარიშში გამოვლენილია საქართველოში შექმნილი ქსელი რომელიც რამდენიმე პლატფორმას იყენებდა, მათ შორის იყო ფეისბუქი, ინსტაგრამი და ტიკტოკი. საგულისხმოა, რომ საქართველო ნახსენები იყო რუსეთისა და ირანის გვერდით, რომლებიც ცნობილი არიან დეზინფორმაციის კამპანიების გავრცელებაში.

ამასთან, 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში დეზინფორმაციის კამპანიების გავრცელების კუთხით (‘Countries Targeted the Most by Domestic CIB Networks,’ 2020). ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქვეყანაში დეზინფორმაციის ტაქტიკა არაერთმა პოლიტიკურმა აქტორმა გამოიყენა, რამაც გამოიწვია როგორც მმართველ პარტიასთან, ისე მთავარ ოპოზიციურ პარტიასთან დაკავშირებული ანგარიშების გაუქმება ონლაინ პლატფორმებზე (‘Coordinated Inauthentic Behavior Report,’ April 2020).

ოპორტუნისტი პოლიტიკური აქტორების მხრიდან რეგიონში დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბმა, რასაც ემატება მეზობელ ქვეყნებში - რუსეთში, თურქეთსა და უნგრეთში პოპულისტ-ნაციონალისტური პოლიტიკური პლატფორმების წარმატება, კიდევ უფრო მეტად გააღრმავა პრობლემა და არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. კოვიდ პანდემია და კონფლიქტები უკრაინასა და ნაგორნო-ყარაბაღში, საკითხს კიდევ უფრო მეტად ართულებს. პროპაგანდა, მისინფორმაცია და წინააღმდეგობრივი სამთავრობო კომუნიკაცია ინფორმაციული სივრცის მოწყვლადობას ზრდის, რაც ქმნის ინფორმაციის ვაკუუმს, დაბნეულობას და ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას, რასაც თვის მხრივ დეზინფორმაციის აგენტები სათავისოდ იყენებენ.

მზარდი პოლარიზაციისა და მოწყვლადობის ფონზე, საქართველო ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაახლოებით მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს. DSA და DMA აქტებით განსაზღვრული ღონისძიებები ქვეყანას არამხოლოდ ევროკავშირის ქოლგის ქვეშ არსებული დამცავი მექანიზმებით დაეხმარება, არამედ უზრუნველყოფს ევროკავშირის 27

წევრი ქვეყნის კოლექტიურ, ძლიერ საბაზრო პოზიციას იმისათვის, რომ ძალიან დიდი ონლაინ პლატფორმები (VLOPs) აიძულონ შეზღუდონ მავნე ონლაინ აქტივობები და დეზინფორმაცია.

III.ევროკავშირთან გაზრდილი ინტეგრაცია და კავშირები

ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, მაგალითად ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციის 78 მუხლში ეროვნულ პრიორიტეტადაა განსაზღვრული, და ამასთან, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანია. ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს იმპლემენტაცია საქართველოს დაეხმარება როგორც ევროკავშირთან საკანონმდებლო პროცესის დაახლოებაში, ისე ტელეკომუნიკაციის სექტორის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაში. ის ასევე ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ადამიანური კავშირების გაძლიერებას.

სატელეფონო როუმინგის ფასები ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის ერთ-ერთი ისეთი ელემენტია, რომლის განხორციელებაც საქართველოში შესაძლებელია. მობილური როუმინგის ფასები ან ქვეყნის გარეთ მობილური სერვისებისთვის არსებული დამატებითი გადასახადები ევროკავშირსა და ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებს შორის 2017 წელს გაუქმდა. საქართველოში როუმინის სერვისებიდან შემოსული სარგებელი კოვიდ პანდემიამდე მზარდი იყო, რადგან ქვეყანა უფრო და უფრო მეტ სარგებელს იღებდა გაზრდილი მოგზაურობითა და ტურიზმით. როუმინგიდან წლიდან წლამდე 15%-ით გაზრდილმა შემოსავალმა 2019 წელს 26 მილიონ ლარს მიაღწია (5% საცალო გაყიდვები), როდესაც 690,000-ზე მეტმა მობილურის მომხმარებელმა საქართველოს გარეთ გამოიყენა როუმინგის სერვისები.[2] იმ ათ ქვეყანას შორის, სადაც ქართული მობილური პროვაიდერების როუმინგის სერვისი გამოიყენეს, ოთხი ევროკავშირის წევრი, ხოლო სამი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანა იყო (ComCom.ge 2019). 2019 წელს ტურიზმის ტოპ 10 წყარო ქვეყნიდან საქართველოში როუმინგის სერვისში 22.9 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამათგან, ხუთი ევროკავშირის, ხოლო ერთი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანა იყო (ComCOm.ge 2020).

საქართველოს, ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის როუმინგის გადასახადების გაუქმება ქვეყანას რამდენიმე მიმართულებით დაეხმარება. ეს ნაბიჯი იქნება ევროკავშირის 2017 წლის გადაწყვეტილების გაგრძელება ქართველებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის დაშვებასთან დაკავშირებით. ევროკავშირში მობილური სერვისების საფასურის და დაბრკოლებების შემცირება კიდევ უფრო შეამცირებს ქართველებისთვის ევროკავშირში მოგზაურობის ბარიერს და შესაბამისად, ხელს შეუწყობს ადამიანური კავშირების გაძლიერებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ამასთან, საქართველოში ევროკავშირიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ჩამოსული მოგზაურებისთვის ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის

[2] ტურიზმის სექტორში მნიშვნელოვანი შეფერხებები იყო პანდემიის გამო მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამდენად ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემები 2021 წლიდანაა - 19.5 მილიონი ლარი - რომელიც სავარაუდოდ ზუსტად არ ასახავს გრძელვადიან ტრენდს.

განვითარებას, რომელიც დღემდე ეკონომიკის ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება და რომელმაც 2016 წელს ქვეყნის შიდა პროდუქტის 16% შეადგინა (Driving the Tourism Recovery in Georgia' 2021). მიუხედავად იმისა, რომ მიზანშეწონილობის ანალიზი ევროკავშირსა და საქართველოს შორის როუმინგის საფასურის გაუქმების შესახებ არ ჩატარებულა, 2017 წელს ჩატარებულმა მიზანშეწონილობის ანალიზმა აჩვენა რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის როუმინგის გადასახადების გაუქმება ქართველ მომხმარებლებს დაახლოებით 2 მილიონ ევროს, ხოლო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მომხმარებლებს 39.25 მილიონ ევროს დაუზოგავდა (EU4Digital, 2017).

როგორ შეიძლება ციფრული დღის წესრიგის საქართველოში გავრცელება?

იმის გათვალისწინებთ, რომ ევროკავშირის წამყვანმა ინიციატივამ - EU4Digital შესაძლოა ცვლილებები განიცადოს იმისათვის, რომ მოერგოს მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს წევრობის განაცხადს, გონივრული იქნება საქართველომ ციფრული კავშირის გაძლიერება პრიორიტეტად დაისახოს. მსგავსი პროაქტიული მიდგომა ევროპული ინტეგრაციის მომენტუმის შენარჩუნებას და მომავალში სრულად გაწევრიანების პროცესის უხარვეზოდ წარმართვას უზრუნველყოფს.

თუმცა, ევროკავშირის ციფრული პოლიტიკის, მაგალითად DSA და DMA მსგავსი ციფრული პოლიტიკით განსაზღვრული ყველა საკითხი საქართველოს არ ესადაგება. ზოგიერთ დიდ ონლაინ სავაჭრო პლატფორმას, როგორიცაა ამაზონი, საქართველოში ჯერ არ დაუწყიათ ოპერირება. თუმცა, ამ რეგულაციებს უფრო ფართო გავლენა აქვთ ინფორმაციის მანიპულაციისგან ხალხის დაცვისა და ციფრული პროდუქტებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ამდენად, ამ პოლიტიკის თანდათანობით დანერგვა ინფორმაციული სივრცის დაცვაზე და კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ყურადღების გამახვილებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია რეფორმების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად.

I. კანდიდატი ქვეყნის მოდელი

ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის საქართველოში გასავრცელებლად რამდენიმე ალტერანტიული ჩარჩო ფორმატიას რამდენიმეერთ-ერთ ასეთი ჩარჩო კანდიდატის ქვეყნის მოდელია, რომელიც ითვალისწინებს ფორმალური წევრობის შესახებ მოლაპარაკებებს, ევროკავშირში მიღებული კანონების დანერგვას და მათ ეფექტურ გამოყენებასა და განხორციელებას. ის მოიცავს საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სხვა საჭირო რეფორმების გატარებას ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად. ეს მოდელი წარმოადგენს სტრუქტურირებულ გზამკვლევს

ქვეყნებისთვის ციფრულ სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დასაახლოებლად.

ამჯერად კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მქონე რვა ქვეყანაა ევროკავშირის გაფართოების პროცესში ჩართული, თუმცა მათი პროგრესი და ვადები განსხვავდება. მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში მიღება უახლოეს მომავალში არ განიხილება. თუმცა, არსებობს მოლოდინი, რომ ქვეყანას სრულად შეძლებს საკუთარი ელექტრონული კომუნიკაციის ბაზარის ლიბერალიზაციას, და ეროვნული კანონმდებლობა ჰარმონიზაციას ელექტრონული ვაჭრობის დირექტივასთან. მათ ასევე შექმნეს ეროვნული მარეგულირებელი სამსახურები ციფრული კომუნიკაციების ზედამხედველობისთვის. თუმცა, კანდიდატი ქვეყნების უმრავლესობას არ დაუსრულებია კონკურენციის პოლიტიკასთან დაკავშირებული მერვე თავი და ინფორმაციულ საზოგადოებასა და მედიასთან დაკავშირებული მეათე თავი. რაც შეეხება აუდიო-ვიზუალურ პოლიტიკას, ამ ეტაპზე მხოლოდ მონტენეგრომ და ალბანეთმა შეძლეს აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების დირექტივებთან სრული შესაბამისობის მიღწევა. რამდენიმე კანდიდატ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის პრობლემები გამოხატვის თავისუფლებასთან და მედია თავისუფლებასთან მიმართებით და ზოგიერთ შემთხვევებში სიტუაცია შეფასებულია როგორც „გაუარესებული“ (EU Commission, 2023).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კანდიდატი ქვეყნის არსებული მოდელი განხილვებისა და თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვან ფორმატს წარმოადგენს. როდესაც საქართველო მიიღებს კანდიდატის სტატუსს და გაიხსნება გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები, ციფრულ დაკავშირებადობაზე ხაზგასმა დეზინფორმაციასა და მავნე საინფორმაციო კამპანიის პრობლემებზე საუბრისას მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება. ერთ-ერთი ასეთი ქვეყნის მოდელი შესაძლოა მოლდოვაც იყოს. 2022 წელს კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, მოლდოვამ ევროკავშირის “roam like at home“ პოლიტიკა ევროკავშირი-მოლდოვას პრიორიტეტების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებში 2023 წლის ივნისში დაამატა, რითიც ის ასოცირების შეთანხმების ნაწილი გახდა გაწევრიანების პროცესის შემდგომი ნაბიჯების მოლოდინში.

II. დასავლეთ ბალკანეთის მოდელი

იმ შემთხვევაში თუ საქართველო არ მიიღებს კანდიდატის სტატუსს 2023 წელს, კიდევ ერთი მიდგომა საქართველოში ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გავრცელებისთვის დასავლეთ ბალკანეთის მოდელი იქნება. 2018 წელს ევროპულმა კომისიამ დასავლეთ ბალკანეთის სტრატეგიისთვის ციფრული დღის წესრიგი მიიღო, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას არამხოლოდ რეგიონულ ქვეყნებს შორის, არამედ მათ თავსებადობას ევროკავშირის სტანდარტებსა და მოთხოვნებთან (EU Commission, 2018). ამ ეტაპზე, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსის (DESI) ყოველწლიურ ანგარიშში EU DESI მეთოდოლოგიის გამოყენებით. ევროპულმა კომისიამ ასევე აღიარა დასავლეთ ბალკანეთის ჩართულობა ციფრული ევროპის პროგრამაში, რაც თანამშრომლობისთვის მზადყოფნაზე მიანიშნებს. ამასთან, ხელოვნური ინტელექტის სამუშაო ჯგუფის შექმნა ადასტურებს ხელოვნურ

ინტელექტთან დაკავშირებულ საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას და ევროკავშირის ქვეყნებთან საერთო საქმიანობის ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასავლეთ ბალკანეთმა უკვე გაუქმა როუმინგის რეჟიმი რეგიონის მასშტაბით და ახლა ევროკავშირსა და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შორის როუმინგის გადასახადის შემცირებაზე მუშაობენ.

დასკვნა და რეკომენდაციები

უკრაინაში რუსეთის ომის შედეგების გათვალისწინებით, რომელმაც დააჩქარა რეგიონული ინტეგრაცია ევროკავშირში, მნიშვნელოვანია საქართველომ კანდიდატის სტატუსის მიღებამდე განვითარების გზა დასახოს. ერთ-ერთ პოტენციური გზა ციფრულ დაკავშირებადობასა და საქართველოში ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გავრცელების შესაძლებლობაზე გადის, განსაკუთრებთ კანონმდებლობის ციფრული სერვისების აქტისა (DSA) და ციფრული ბაზრის აქტის (DMA) დებულებების მიხედვით შემუშავებით. ეს აქტები ქვეყანას ინფორმაციულ გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევაში ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს შეთავაზებით დაეხმარება. ეს კი უცხოური დეზინფორმაციის დღის წესრიგთან ბრძოლასთან ერთად, ხელს უწყობს პოლიტიკის რეფორმების გატარებასა და დაკავშირებადობის გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებულმა პოლიტიკურმა პოლარიზაციამ შესაძლოა ზოგიერთ ზემოთ ხსენებული ჩარჩოსა და კანონმდებლობის იმპლემენტაციას ხელი შეუშალოს, საქართველო მაინც ნახავს სარგებელს გარკვეული, ნაკლებად პოლიტიკურად სადაო ელემენტების დანერგვით, მაგალითად ევროკავშირსა და საქართველოს შორის როუმინგის ხარჯების გაუქმებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატის სტატუსი საქართველოსთვის ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის მისაღებად ყველაზე პირდაპირი გზაა, იმ შემთხვევაში თუ საქართველო 2023 წელს კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს, შესაძლოა საქართველოსთვის უფრო მისაღები დასავლეთ ბალკანეთის მოდელი გახდეს, რადგან ის ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ინსტიტუტებთან ციფრული დაკავშირებადობის მიმართულებით მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობას ქმნის.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტი:

- ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგში დამატებითი რეფორმების ინიცირება აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის როუმინგის შეთანხმების (RRA) განვითარების მხარდასაჭერად და როუმინგის საექსპერტო სამუშაო ჯგუფის (REWG) დღის წესრიგის განახლება.

- ისეთი ცალკეული პოლიტიკის განხორციელების პრიორიტეტიზაცია, როგორიცაა 'roam like at home'.
- ისეთი სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელიც უპასუხებს კონკრეტულ ციფრულ გამოწვევებს და იმ შესაძლებლობებს, რასაც ციფრული სერვისების აქტი (DSA) და ციფრული ბაზრის (DMA) ქმნის.
- რეგიონული ციფრული თანამშრომლობის მხარდაჭერა საერთო კვლევებითა და განვითარების პროექტებზე ევროკავშირის ქვეყნებთან ერთობლივი მუშაობით, რაც საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, ციფრულ ვაჭრობასა და ინვესტირებას უწყობს ხელს.

საქართველოს მთავრობა

- მოხდეს ციფრული დაკავშირებადობის პრიორიტეტიზაცია და ციფრული ტექნოლოგიების მიმართ ნდობის გაძლიერება ევროკავშირის ციფრული პოლიტიკის ქვეყნის 2030 წლის სტრატეგიაში ჩართვით.
- ადგილობრივი აკადემიური წრის, სატელეკომუნიკაციო კომპანიებისა და ელექტრონულ ვაჭრობაში ჩართული აქტორების წახალისება, რათა გაანალიზონ ციფრული სერვისების აქტისა (DSA) და ციფრული ბაზრის აქტის (DMA) თანდათანობით დანერგვის უპირატესობები და ნაკლები ასოციაციების ჩართულობით, პოლიტიკის ფორუმების შექმნით, ან კვლევითი პარტნიორობების ჩამოყალიბებით.
- ციფრულ დაკავშირებადობაზე ცოდნის გაზიარება დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარების გზით.
- რეგიონში აკადემიური კავშირების განვითარება ციფრული ინოვაციებისა და კვლევების ხელშეწყობით და ისეთ ინიციატივების საშუალებით, როგორიცაა Horizon 2020, Erasmus, და EU4Digital პროგრამები.
- შეიქმნას სტრატეგია, თუ როგორ გეგმავს საქართველო დაეწიოს ევროკავშირის წევრებს ციფრული განვითარების მიმართულებით და უზრუნველყოფილ იქნას ციფრული სერვისების აქტისა (DSA) და ციფრული ბაზრის აქტის (DMA) უხარვეზოდ მიღების პროცესი.
- მოხდეს ციფრული სერვისების აქტის (DSA), როგორც დეზინფორმაციასთან ბრძოლის მექანიზმის დებულებების მიღების პრიორიტეტიზაცია და ადვოკატირება, განსაკუთრებით 2024 წლის საარჩევნო წლისთვის.

კომუნიკაციების კომისია

- მიიღოს პროაქტიული ზომები რეგულაციების რეფორმებისთვის და ციფრული ბიზნესებისთვის ბარიერების მოსახსნელად, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციას და ინოვაციებს ტელეკომუნიკაციების სფეროში.
- ჩაერთოს მარეგულირებელ განხილვებში დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან და უზრუნველყოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და ციფრული დაკავშირებულობის ხელშეწყობა.

- უზრუნველყოს კერძო ბიზნესთან ჩართულობა პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად და ციფრული სერვისების აქტისა (DSA) და ციფრული ბაზრის აქტის (DMA) თანდათანობით დანერგვის პოტენციური სარგებელის ხაზგასასმელად.

ევროკომისია

- აღმოფხვრას ციფრული დაკავშირებადობის პრობლემური საკითხები რეგიონში.
- წარმოადგინოს ხედვა, თუ როგორ შეიძლება საქართველოში რუსული გავლენისა და მზარდი დეზინფორმაციული კამპანიების დაძლევა.
- გააძლიეროს თანამშრომლობა ტექ კომპანიებთან დეზინფორმაციული კამპანიების მონიტორინგისა და მათ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. ჩართოს საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირის დეზინფორმაციასთან ბრძოლის Code of Practice-ში და ციფრული სერვისების აქტის დაფარვის არეალში.
- აკადემიასთნ თანამშრომლობით ხელი შეუწყოს ციფრული დაკავშირებადობის კვლევას ქართულ კერძო ბიზნესში.

გამოყენებული ლიტერატურა

'April 2020 Coordinated Inauthentic Behavior Report.' 2020. Meta (blog). May 5, 2020. [https://about.fb.com/news/2020/05/april-cib-report/]

ARTICLE 19. 2020. 'Turkey: New Internet Law Threatens Freedom of Expression Online.' ARTICLE 19. July 28, 2020. [https://www.article19.org/resources/turkey-new-internet-law-threatens-freedom-of-expression-online/]

Comcom.ge. 2022. 'კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის ანგარიში.' 2022. [https://comcom.ge/uploads/other/9/9574.pdf]

Comcom.ge. 'კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის ანგარიში.' Accessed May 19, 2023. [https://comcom.ge/uploads/other/7/7775.pdf]

Comcom.ge, 2019. 'კომუნიკაციების კომისიის 2019 წლის ანგარიში.' Accessed May 19, 2023.[https://comcom.ge/uploads/other/5/5671.pdf]

'Countries Targeted the Most by Domestic CIB Networks.' 2020, Statista. Accessed May 17, 2023. [https://www.statista.com/statistics/1294216/most-targeted-countries-domestic-cib-networks/]

'Digital 2023: Georgia.' 2023. Data Report – Global Digital Insights. Accessed February 14, 2023. [https://datareportal.com/reports/digital-2023-georgia]

'Digital Agenda for Europe | Fact Sheets on the European Union | European Parliament.' 2022. June 30, 2022. [https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/64/digital-agenda-for-europe]

EU Commission. 2018. 'Launching of Digital Agenda for Western Balkans. Accessed June 30, 2022. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_18_4242]

Europe.eu. 2020. 'Statement by the President: Black Sea Energy Submarine Cable.' Accessed August 30, 2022. [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_22_7807]

Europe.eu. 2022. 'Regulatory Dialogue between the European Union and the Western Balkans | Shaping Europe's Digital Future.' Accessed June 9, 2022. [https://digital-strategy.ec.europa.eu/en/news/regulatory-dialogue-between-european-union-and-western-balkans.]

Europe.eu. 2023. 'EUR-Lex - 52022SC0335 - EN - EUR-Lex.' Accessed, 29 August 2023. [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52022SC0335]

EU Commission. 2022. 'Western Balkans Work Jointly on Improving Digital Transformation | Shaping Europe's Digital Future.' Accessed July 23, 2022. [https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/western-balkans-work-jointly-improving-digital-transformation.]

EU4digital. 2017. 'Harmonising International Roaming Pricing and Reducing Roaming Tariffs among the Eastern Partnership Countries.' EU4Digital (blog). Accessed August 23, 2022. [https://eufordigital.eu/library/harmonising-international-roaming-pricing-and-reducing-roaming-tariffs-among-the-eastern-partnership-countries/]

Freedom House. 2023. 'Armenia: Freedom in the World 2022 Country Report.' Freedom House. Accessed May 17, 2023. [https://freedomhouse.org/country/armenia/freedom-world/2022]

Freedom House. 2023 'Georgia: Freedom in the World 2023 Country Report.' Freedom House. Accessed May 17, 2023. [https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023]

Gross, Anna, Chris Campbell, and Alexandra Heal. 2023. 'EU Plans Black Sea Internet Cable to Reduce Reliance on Russia.' Financial Times, May 12, 2023, sec. Infrastructure investment. Accessed June 20, 2023[https://www.ft.com/content/d07dbd19-5e8b-4543-85f6-bbf1a6a0858d]

'Harmonising International Roaming Pricing and Reducing Roaming Tariffs among the Eastern Partnership Countries.' 2017. EU4Digital (blog). Accessed August 20, 2023. [https://eufordigital.eu/library/harmonising-international-roaming-pricing-and-reducing-roaming-tariffs-among-the-eastern-partnership-countries/]

'ITU | ICT Regulatory Tracker.' 2023. Accessed August 20, 2023. [http://appdev.gen5.digital/.]

META. 2023. 'Quarterly Adversarial Threat Report Q1 2023.' August 20, 2023. [https://about.fb.com/wp-content/uploads/2023/05/Meta-Quarterly-Adversarial-Threat-Report-Q1-2023.pdf]

OSGF. 2023. '12 პრიორიტეტის შესრულების მონიტორინგის დოკუმენტი „სტატუსმეტრი“.' Open Society Foundation Georgia. August 20, 2023 .[https://osgf.ge/wp-json/wi/validate/v1/file?wifile=wp-content/uploads/2023/05/webgeeo.pdf]

Pavlowitch, Kosta. 2021. 'Regional Roaming Agreement: How Roaming Prices Can Fall in Eastern Partner Countries by Almost 90%.' EU4Digital (blog). April 15, 2021. August 20, 2023 [https://eufordigital.eu/regional-roaming-agreement-how-roaming-prices-can-fall-in-eastern-partner-countries-by-almost-90/]

Tourism Economics. 2021. 'Driving the Tourism Recovery in Georgia.' August 20, 2023. [https://s3.amazonaws.com/tourism-economics/craft/Google_Georgia_Final.pdf]

Investor.ge (Feb-Mar 2022). 'Georgia's advances toward an innovation economy. August 21, 2023. [https://www.investor.ge/2022/10/11/georgias-advances-toward-an-innovation-economy]

Press corner (June 22, 2023). 'European Commission - European Commission.' Accessed: 17 July 2023. Available at: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/speech_23_3458]

Reporters Without Borders. 2023. Report. Accessed: 17 July 2023. [https://rsf.org/en/country/georgia]

European Parliament,(2020). *Digital Agenda for Europe | Fact Sheets on the European Union | European Parliament*. Accessed 4 Sep. 2023. Available at: [https://www.europarl.europa.eu/factsheets/en/sheet/64/digital-agenda-for-europe.]

bm.ge. (2023). *საქართველოში ინტერნეტთან წვდომა გაიზარდა - მოსახლეობის რა ნაწილი იყენებს ინტერნეტს ყოველდღე?* Accessed 4 Sep. 2023, Available at: [https://bm.ge/news/saqartveloshi-internettan-tsvdoma-gaizarda-mosakhleobis-ra-natsili-iyenebs-internets-yoveldghe-222981]

ecommerceDB.com. (2023). *ECommerce market Georgia. 2023- Data & Trends*. Accessed: 16 September 2023 [Available at: https://ecommercedb.com/markets/ge/all]

HEINRICH BÖLL STIFTUNG
TBILISI
South Caucasus Region

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის - სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:
გიორგი ჯანგიანი, *“ევროკავშირის ციფრული დღის წესრიგის გავრცელება საქართველოში ციფრული თანამშრომლობისა და დაკავშირებადობის გაზრდა“*, პოლიტიკის ნარკვევი #54, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge